



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება № 920

12 11 2015წ.

ქ. თბილისი

„ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 1 სექტემბრის №718 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 1 სექტემბრის №718 ბრძანებით დამტკიცებულ „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესში“ და:

ა) მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ექსპერტების შერჩევისა და ექსპერტა კორპუსის შექმნის მიზნით, ცენტრი წელიწადში ორჯერ, ყოველი წლის პირველი ივლისიდან პირველ აგვისტომდე და პირველი ნოემბრიდან პირველ დეკემბრამდე, ახორციელებს განაცხადების მიღებას, მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებასა და შერჩევას.“

ბ) მე-3 მუხლს პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „1“ პუნქტი:

„1¹. გამონაკლის შემთხვევაში, ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, ექსპერტების შერჩევისა და ექსპერტა კორპუსის შექმნის მიზნით, შესაძლებელია, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგინდეს ამ მუხლის პირველი პუნქტისაგან განსხვავებული ვადა. ასეთ

შემთხვევაში, ინფორმაცია, განსხვავებული ვადის დადგენის შესახებ, განთავსდება ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.“

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოებისა და მომსახურების განყოფილებას ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ, №6).


დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი



თამარ ზაალიშვილი

შემსრულებელი:

სამართალშემოქმედების სამმართველოს კოორდინატორი

თარიღი: /12.11.15/  /ქეთევან ჭუჭულაშვილი/

შეთანხმებულია:

სამართალშემოქმედების სამმართველოს უფროსი

თარიღი: /17.11.15/  /ანა ბუზუკური/

იურიდიული და ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახურის უფროსი

თარიღი: /12.11.15/  /ნინო ბეგიაშვილი/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

თარიღი: /12.11.15/  /ლაშა მარგიშვილი/

ხელმოწერის თარიღი: /12.11.15/